სარჩევი

რა არის ახალი 2

გასწორებული შეცდომები 5

სხვა მოდიფიკაციები 5

ბალანსის რელიზი_1.3.8.5

25.06.2024

რა არის ახალი

საქართველოს ბანკიდან ტრანზაქციების ავტომატური ასახვა ბალანსში

ფუნქციონალს დაემატა საქართველოს ბანკიდან ვებ-სერვისებით ამონაწერის ავტომატური ჩამოტვირთვის შესაძლებლობა, რაც საშუალებას იძლევა წინასწარ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, გარკვეული პერიოდულობით, ფონურად ჩამოიტვირთოს ინტერნეტ ბანკიდან ბოლო სასურველი დღეების ამონაწერი და შექმნას დოკუმენტები პროგრამაში არსებული ამონაწერის ჩატვირთვის წესების შესაბამისად.

აუცილებელია პროგრამაში ამონაწერის ჩატვირთვის წესები აწყობილი იყოს სწორად, იმისთვის რომ სწორად დაიდენტიფიცირდეს ტრანზაქციები და შეიქმნას სწორი დოკუმენტები ბაზაში.

ინტერნეტ ბანკში ახალი ტიპის მომხმარებლის დამატება

საქართველოს ბანკის ინტერნეტ ბანკის მხარეს უნდა დაემატოს Client Credentials Flow ტიპის Api კლიენტი, ავტომატური ინტეგრაციის ტიპი, რომლის დროსაც ავტორიზაცია ხდება Client Secret და Client ID-ით, მომხმარებლის სახელის და პაროლის მითითების გარეშე.

ავტომატური ჩამოტვირთვის აწყობა ბაზაში

ადმინისტრირება -> მონაცემების სინქრონიზაციის აწყობები -> მონაცემების სინქრონიზაცია ინტერნეტ ბანკის ქვესისტემაში თავმოყრილია ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ავტომატური ჩამოტვირთვის ფუნქციონალის გასააქტიურებლად.



ბანკთან ინტეგრაციის მისამართი - ინტერნეტბანკთან ინტეგრაციის ვებ სერვისის მისამართის რეგისტრში BOG (Web-Service)-ს დაემატა Client Secret და Client ID პარამეტრები, სადაც უნდა შეივსოს Client Credentials Flow ტიპის მომხმარებლის მონაცემები, რომელსაც გამოიყენებს ავტომატური ჩამოტვირთვის დავალება.

ასევე, გარდა ავტომატური ჩამოტვირთვის დავალებისა, შესაძლებელია აღნიშნული ტიპის მომხმარებლის მონაცემების გამოყენება სტანდარტული ამონაწერის ჩამოტვირთვის დამუშავებაში. თუკი მონიშნული იქნება ალამი „ClientID/Secret პარამეტრებით დამუშავებაში ავტორიზაციის შესძლებლობა“, მანუალურად ჩამოტვირთვისას ავთენტიფიკაციისთვის აღარ იქნება საჭირო მომხმარებლის/პაროლის და ერთჯერადი კოდის შეყვანა.



გრაფიკის აწყობა - „ინტერნეტ ბანკიდან ავტომატური ჩამოტვირთვა“ ალმის გააქტიურების შემდეგ შეგიძლიათ ააწყოთ გრაფიკი, თუ რა პერიოდულობით გაეშვას ავტომატური ჩამოტვირთვის ფონური დავალება.

ინტერნეტ ბანკთან გაცვლის ლოგი - ინფორმაციული რეგისტრი, სადაც იწერება ინფორმაცია ავტომატურად ჩამოტვირთული ამონაწერის სტატუსების შესახებ. ლოგი შედგება შემდეგი ველებისგან:

- თარიღი
- დოკუმენტი
- ანგარიშის ნომერი
- ტრანზაქციის ID
- დოკუმენტის თარიღი
- სტატუსის ტექსტი
- მიმღების/გამგზავნის დასახელება
- ს/ნ
- შინაარსი
- თანხა

ინტერნეტ ბანკიდან ჩამოსატვირთი დღეების რაოდენობა - გრაფაში ეთითება ბოლო რამდენი დღის ამონაწერი ჩამოტვირთოს ავტომატურად, სტანდარტულად გაწერილია 2 დღე.

ინტერნეტ ბანკის გაცვლის ლოგის შენახვის დღეების რაოდენობა - გრაფაში ეთითება ბოლო რამდენი დღის ინფორმაცია შეინახოს გაცვლის ლოგის ინფორმაციულ რეგისტრში, სტანდარტულად გაწერილია 30 დღე.

ავტომატური ჩამოტვირთვის ფუნქციონალის გააქტიურება ხდება საბანკო ანგარიშების ჭრილში. ავტომატურად ჩამოიტვირთება ის ანგარიშები, რომლებსაც საბანკო ანგარიშის ცნობარზე მონიშნული აქვს ალამი „მონაცემების ავტომატური ჩამოტვირთვის გამოყენება“. ალმის გასააქტიურებლად აუცილებელია საბანკო ანგარიშის ცნობარზე მიბმული იყოს მხოლოდ ერთი ბუღალტრული ანგარიში.



ავტომატური ჩამოტვირთვის დამუშავებით დოკუმენტები იქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ტრანზაქცია აკმაყოფილებს ყველა პირობას დოკუმენტის გატარებისთვის. თუკი ტრანზაქცია აკმაყოფილებს დოკუმენტის ჩაწერისთვის საკმარის პირობებს, მაგრამ ვერ ტარდება, აღნიშნული ტრანზაქცია ავტომატური ჩამოტვირთვით არ შეიქმნება, თუმცა ინფორმაცია ლოგში ჩაიწერება.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია წარმოების ხელფასში საპენსიო/საშემოსავლო თანხის გატარების ხარვეზი
- გასწორებულია ტრანსპორტირების გარეშე სასაქონლო ზედნადების აქტიური სტატუსით ატვირთვის ხარვეზი
- გასწორებულია საცალო ინტერფეისიდან დიპლომატი მყიდველის დამატებისას დიპლომატის დაბეგვრის გათვალისწინების ხარვეზი
- გასწორებულია ამონაწერის ჩატვირთვის წესზე დარიცხვის თვის ხილვადობის ხარვეზი, როდესაც ბაზაში ჩართულია დარიცხვის ტიპებით ანგარიშსწორება
- გასწორებულია რეალიზაციის კორექტირების დოკუმენტში საქონლის შევსების ხარვეზი, როდესაც ერთ რეალიზაციაზე ხდება 3 და მეტი დაბრუნება

სხვა მოდიფიკაციები

- ბალანსში შექმნილი დოკუმენტების ასახვა მარდიში
- პროდუქციის შეფუთვების მარდიში არ გამოჩენის შესაძლებლობა
- ექოში ინფორმაციების ჯგუფებით გაფილტვრის შესაძლებლობა
- სასაქონლო ოპერაციების გადატარების დამუშავების ოპტიმიზაცია
- ავტოსერვისის ფუნქციონალის დახვეწა